ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა

საკოორდინაციო საბჭოსა და საქართველო-ევროკავშირის სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმის საინფორმაციო შეხვედრა ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების მექანიზმის პროექტის გუნდის ლიდერ, ქალბატონ კატერინა შალაევასთან

თარიღი: 27 მარტი, 2017 წელი
დრო: 16:00 – 18:00 საათი
შეხვედრის ადგილი: რონდელის ფონდის ოფისი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ევროპის ფონდი - ნინო ხურციძე
2. აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული კოორდინატორი, რონდელის ფონდი - კახა გოგოლაშვილი
3. მეორე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, ასოციაცია ,,ქალი და ბიზნესი“ - ნინო ელიზბარაშვილი
4. მეხუთე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება - რაისა ლიპარტელიანი
5. მეხუთე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, საქართველოს რკინიგზელთა ახალი პროფესიული კავშირი - ვიტალი გიორგაძე
6. საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება - ლაშა ბლიაძე
7. ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია ,,ელკანა“ – მარიამ ჯორჯაძე
8. ევროკავშირი-საქართველოს ბიზნესსაბჭო – გიორგი კაჭარავა
9. საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო - გიორგი ონიანი

შეხვედრა გახსნა რონდელის ფონდის წარმომადგენლემა ბატონმა კახა გოგოლაშვილმა და შეხვედრების მონაწილეებს გააცნო ქალბატონი კატერინა შალაევა და სთხოვა მონაწილეებს წარედგინათ საკუთარი ორგანიზაციები.

ქალბატონმა შალაევამ წარადგინა 4 წლიანი პროექტი: *,,აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ხელშეწყობა“,* რომელსაც თავად ხელმძღვანელობს. აღნიშნული პროექტი გახლავთ ევროკავშირის მიერ ფინანსურად მხარდაჭერილი და მისი მთავარი მიზანია,

გააძლიეროს და ხელი შეუწყოს სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობას იმ რეფორმებისა და სხვა დემოკრატიული ცვლილებების პროცესში, რომელიც მიმდინარეობს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში.

აღნიშნული პროექტი მოიცავს ტექნიკური დახმარების პროგრამებს 6 ძირითადი მიმართულებით:

- კვლევების მოძიება, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების პრობლემებისა და საჭიროებების უკეთ გაგებისთვის;
- ელექტრონული კურსებისა და სემინარების ორგანიზება;
- ინფორმაციული საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინსტრუმენტების განვითარების ხელშეწყობა;
- კომუნიკაციის გაუმჯობესება სამოქალაქო საზოგადოების საქმიანობის შედეგიანობისთვის, რათა გაუმჯობესდეს კომუნიკაციის მეთოდები;
- სამოქალაქო საზოგადოების სტიპენდიები (*Civil Society Fellowships*);
- სხვა აქტივობები სამოქალაქო საზოგადოების შესაძლებლობების განვითარებისთვის.

პროექტის შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ დანართი:

Project Description.doc

როგორც ქალბატონმა შალაევამ აღნიშნა, თითოეული მიმართულებების კონკრეტული საკითხები ჯერ არ არის განსაზღვრული და დამოკიდებულია, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საჭიროებებზე.

დამსწრეებმა ასევე ისაუბრეს საკუთარი ორგანიზაციების გამოცდილებაზე, საქმიანობის სფეროში არსებულ პრობლემებსა და მათი მოგვარების შესაძლო გზებზე. შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა შრომით უფლებებზე, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებასა და სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხებზე.